# Covid 19-ის ვაქცინაციის პროცესზე მოქმედი ფაქტორები სამცხე-ჯავახეთში

**ნათია ლომიძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი,2022**

# განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ნათია ლომიძე, ჰივლისი, 2022წ.

# აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო დაედგინა COVID 19-ის ვაქცინაციის პროცესზე მოქმედი ფაქტორები სამცხე ჯავახეთში, საკვლევი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: რა ფაქტორები ახდენს გავლენას ვაქცინაციის პროცესის ეფექტიანობაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

კვლევის მეთოდად შეირჩა თვისებრივი მეთოდი. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა სამცხე-ჯავახეთის ნებისმიერ რაიონში მცხოვრები 18 წელს გადაცილებული ქართულ ენაზე მოსაუბრე, როგორც აცრილი ისე აუცრელი კონტიგენტი.

კვლევა ჩატარდა ონლაინ, კომბინირებული კითხვარის გამოყენებით, კითხვარში შედიოდა როგორც ღია, ისე დახურული კითხვები.

მონაცემები დამუშავდა ინდუქციური კოდირების მიხედვით, მიღებული მონაცემები დაჯგუფდა და გამოიკვეთა ის ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენენ ვაქცინაციის პროცესის ეფექტიანობაზე. ეს ფაქტორები იყო შიში და უნდობლობა ვაქცინების მიმართ; გარდაცვლილი ექთნის საქმე; ვაქცინაციის პროცესზე ინფორმაციის არქონა. კვლევამ გამოავლინა აგრეთვე ისიც, რომ აცრის წამახალისებელი კამპანიები ვერ ახდენს ვაქცინაციის პროცესის ეფექტიანობაზე გავლენას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

მიღებული შედეგების შემდეგ ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ვაქცინაციის პროცესის ეფექტიანოს გასაზრდელად, რეკომენდაციები ეხებოდა საინფორმაციო კამპანიის წარმოების გაუმჯობესებას და უწყვეტობას, ასევე საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვას რეგიონის სპეციფიურობიდან გამომდინარე.

***ძირითადი საძიებო სიტყვები:*** კოვიდ 19, ვაქცინაცია, კოვიდ 19-ის ვაქცინაციის პროცესზე მოქმედი ფაქტორები, სამცხე-ჯავახეთი;

# ABSTRACT

The purpose of the study was to determine the factors affecting the vaccination process of COVID 19 in Samtskhe-Javakheti, the research question was formulated as follows: what factors influence the effectiveness of the vaccination process in the Samtskhe-Javakheti region.

The qualitative method was chosen as the research method. In order to participate in the study, Georgian language speakers over 18 years of age living in any district of Samtskhe-Javakheti were selected, both vaccinated and unvaccinated contingent.

The survey was conducted online using a combined questionnaire, the questionnaire included both open and closed questions.

The data were processed according to induction coding, the obtained data were grouped and the factors affecting the effectiveness of the vaccination process were identified. These factors were fear and distrust of vaccines; The case of the deceased nurse; Lack of information on the vaccination process. The study also revealed that vaccination promotion campaigns cannot influence the effectiveness of the vaccination process in the Samtskhe-Javakheti region.

After the obtained results, recommendations were formulated to increase the effectiveness of the vaccination process, recommendations related to the improvement and continuity of the information campaign, as well as the planning of the information campaign depending on the specificity of the region.

**Main key words:** Covid-19, vaccination, factors affecting the process of vaccination of Covid-19, Samtskhe-Javakheti